სადოქტორო პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერებები

პროგრამის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
სადოქტორო პროგრამის მიზანია სამეცნიერო კადრის მომზადება განათლების მეცნიერებებში, კადრის, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის პროცესებს წარმართავს მეცნიერულ საფუძველზე, ქართული ტრადიციებისა და კულტურის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. ამასთანავე შეძლებს სამეცნიერო მუშაობის ახალ სტანდარტებზე გადაყვანას და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართვას, და რაც მთავარია, მეცნიერული მონაპოვრების პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ კი სასკოლო ცხოვრებაში გადატანას, რაც აგრერიგად აკლია თანამედროვე ქართულ სკოლას.

პროგრამის შედეგი:
პროგრამის გავლის შედეგად დოქტორანტს უნდა ჰქონდეს:
ზოგადი უნარ-ჩვევები:

- კომუნიკაცია
- ინფორმაციის დამუშავება
- საჭიროების განსაზღვრა, პრობლემის გადაჭრა
- სამეცნიერო-კვლევითი

დარგისთვის სპეციფიკური კომპეტენციები:

- პედაგოგიური მეცნიერებების ცოდნა
- მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების ცოდნა
- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა მსოფლიო კონტექსტში
- საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური დარგების ცოდნა და ამ ცოდნის საჭიროებისამებრ გამოყენება
- ახალი მეცნიერული ცოდნის მოპოვების უნარი
- უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი
- ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება და გაძღოლა
- ზოგადი და უმაღლესი განათლების თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა
- საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება
- საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება
- სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებების და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების ცოდნა
- ცალკეული საგნების და საგანთა ჯგუფების სწავლების მეთოდიკის ცოდნა

დასაქმების სფეროები

- უმაღლესი სკოლა - სამეცნიერო და სასწავლო სფერო;

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- განათლების რეგიონული და რაიონული მმართველობის უწყებები;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის განმახორციელებელი სექტორი;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული თუ შინაარსობრივი მართვის კონსულტანტი;
- უმაღლესი სკოლის ადმინისტრაციული თუ შინაარსობრივი მართვის სექტორი;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

მიღების წინაპირობები:

სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები, კერძოდ:

წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი და აქვთ დამტკიცებული (და პრაქტიკულად დასრულებული) საკანდიდატო თემა.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული ან რუსული) B2 დონეზე ცოდნა.

დოქტორანტების რაოდენობა

ადამინაური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 3-4 დოქტორანტის მიღება.